

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

დადგენილების პროექტი მოზადებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16, 24-ე, 91-ე მუხლების და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად და განსაზღვრავს 2024 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს;

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

პროექტით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების და გასაწევი გადასახდელების ნუსხის დამტკიცება საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

ა.გ) პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობები;

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

❖ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 364,500.0 ათას ლარს.

➤ **გადასახადების** საპროგნოზო მაჩვენებლები შეადგენს 106,217.2 ათას ლარს. საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 61-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების შესაბამისად. მათ შორის:

✓ **ქონების გადასახადი** - 44,000.0 ათასი ლარი, რომელიც 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 10%-ით (4,000.0 ათასი ლარით).

✓ **დამატებული ღირებულების გადასახადები** - 62,217.2 ათასი ლარი. 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 10.7%-ით (6,010.4 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე და საპროგნოზო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტით;

➤ **ფინანსური დახმარების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 177,231.5 ათასი ლარით: მათ შორის:**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები - კაპიტალური ტრანსფერი - 71,470.0 ათასი ლარი და სპეციალური ტრანსფერი - 105,530.0 ათასი ლარი. რაც მიმდინარე წლის ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 41,000.0 ათასი ლარით.

გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებიდან - 231.5 ათასი ლარით.

➤ **სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 2024 წლისთვის განისაზღვრა 73,051.3 ათასი ლარის ოდენობით:**

✓ საკუთრებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4,951.3 ათასი ლარის ოდენობით. აქედან:

- პროცენტების სახით დაგეგმილია 2,700.0 ათასი ლარის მობილიზება;
- რენტის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2,251.3 ათასი ლარის ოდენობით.

✓ საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 59,100.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის:

- სანებართვო მოსაკრებლები - 1,000.0 ათასი ლარის ოდენობით.
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 52,800.0 ათასი ლარის ოდენობით.
- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 5,300.0 ათასი ლარის ოდენობით.

✓ ჯარიმებით, სანქციებითა და საურავებით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 7,900.0 ათასი ლარის ოდენობით.

✓ შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1,100.0 ათასი ლარის ოდენობით.

არაფინანსური აქტივების (ქონების გაყიდვიდან) კლების მაჩვენებელი განისაზღვრა 8,000.0 ათასი ლარით.

❖ **წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 382,000.0 ათას ლარს.**

ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები გადანაწილდა შემდეგნაირად:

✓ ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 58.7% - 224,289.1 ათასი ლარი მოდის ხარჯებზე, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება - 43,882.3 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში შრომის ანაზღაურების მუხლი გაზრდილია, რაც განპირობებულია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნით (დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1 330 ლარის ოდენობით ნაცვლად 1210 ლარისა) და ასევე ახალი საბავშვო ბაღების გახსნასთან დაკავშირებით თანამშრომლების რაოდენობის ზრდით.

- საქონელი და მომსახურება - 75,201.2 ათასი ლარი;

- პროცენტი - 4,892.8 ათასი ლარი;

- გრანტები - 15.0 ათასი ლარი;

- სუბსიდიები - 20,304.8 ათასი ლარი;

- სოციალური უზრუნველყოფა - 18,004.1 ათასი ლარი;

- სხვა ხარჯები - 61,988.9 ათასი ლარი;

✓ მთლიანი ასიგნებების 31.6% - 120,753.8 ათასი ლარი მოდის არაფინანსური აქტივების ზრდაზე.

✓ ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვალდებულებების (სესხის ძირი თანხის) დაფარვას 36,957.1 ათასი ლარი მოხმარდება, რაც მთლიანი ასიგნებების 9.7%-ია.

• პროგრამული კლასიფიკაციის შესაბამისად პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგნაირად:

I. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება - 55,644.5 ათასი ლარი, მათ შორის:

▪ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო - 3,007.9 ათასი ლარი;

▪ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია - 8,524.7 ათასი ლარი;

▪ სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 41,849.9 ათასი ლარი, რომელიც მიმართება გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW, I-II-III-IV-V ფაზა) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის მომსახურებაზე.

▪ სარეზერვო ფონდი - 2,000.0 ათასი ლარი, რომლის ფარგლებშიც თანხის განკარგვა განხორციელდება საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესის (ჯანმრთელობის, სოციალურის, სტიქიური მოვლენების დროს დაზარალებულთა დახმარების და ასევე სხვა გადაუდებელი ღონისძიებების დაფინანსება) მიხედვით;

▪ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი - 150.0 ათასი ლარი;

II. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება - 168,341.3 ათასი ლარი, მათ შორის:

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 52,056.2 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა (ათასი ლარი)
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	52,056.2
	გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა	3,190.4
	საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა	40,580.3
	გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა	7,303.5
	საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებები	982.0

- ასფალტირებული და რკინა-ბეტონის საფარის ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;
 ვიდეო-სათვალთვალო კამერების მოვლა-პატრონობა;
 არასაფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;
 საგზაო ინფრასტრუქტურის (ტროტუარი, ბორდიური, ქვაფენილი, ბოძკინტი) მოვლა-შენახვის ღონისძიებები;
- დეკორატიული გზაგამყოფი ღობეების მოვლა-პატრონობა;
 გარე განათების წერტილების მოვლა-ექსპლოატაცია;
 გარე განათების სისტემის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადი;
 ქ. ბათუმში, ქუჩების გარე განათების კაპიტალური სამუშაოები;
 ქ. ბათუმში, ევგენი მიქელაძისა და მ. ჯავახიშვილის ქუჩების კეთილმოწყობა;
 ქ. ბათუმში, გიორგი შარვაშიძის ქუჩის კეთილმოწყობა;
 ქ. ბათუმში, მაქაცარიას ქუჩის კეთილმოწყობა;
 ქ. ბათუმში, გიორგი ლეონიძის ქუჩის კეთილმოწყობა;
 ქ. ბათუმში, ალ. სულაბერიძისა და გ. ბრწყინვალეს ქუჩების კვეთიდან ალ. პუშკინის ქუჩამდე, ალ. პუშკინის ქუჩიდან იმედაშვილის ქუჩამდე და იმედაშვილის ქუჩა ბაქოს ქუჩამდე გზის რეაბილიტაცია;
 ქ. ბათუმში, შავშეთის ქუჩის რეაბილიტაცია პეტრე ზაგრატიონის ქუჩიდან ბაქოს ქუჩამდე;
 ქ. ბათუმში, წმ. ნინოს ქუჩის კეთილმოწყობა;
 ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის და ხახულის ქუჩების (ალ. სულაბერიძის და მ. ვარშანიძის ქუჩების კვეთიდან ფრ. ხალვაშის გამზირამდე) კეთილმოწყობა;
 ქ. ბათუმში ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩის რეაბილიტაცია;
 ქ. ბათუმში, ქსენია ბახტაძის ქ. N8-ის მიმდებარედ ხიდის მოწყობა;
 სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები (2023-2024წ.წ.).
 ქ. ბათუმში, ცოტნე დადიანის ქუჩის კეთილმოწყობა;
 ქ. ბათუმში, გონიოს ყოფილი მეურნეობის ტერიტორიაზე გამავალი საავტომობილო გზის კეთილმოწყობა;
 ქ. ბათუმში, შალვა ნუცუბიძის ქუჩის კეთილმოწყობა;
 ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირიდან სიონის ქ. N10ბ-მდე ქუჩის კეთილმოწყობა;
 ქ. ბათუმში, წმინდა თევდორე აჭარელის ქუჩის კეთილმოწყობა;
 ბათუმგორის ქუჩის კეთილმოწყობა;
 ნიკო მუსხელიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია;
 ქ. ბათუმში, ბაღის ქ. N15-ის მიმდებარედ მონაკვეთის კეთილმოწყობა;
 ქ. ბათუმში, ბაღის ქ. N15-ის მიმდებარედ ჩიხების კეთილმოწყობა;
 ქ. ბათუმში, აკაკი შანიძის ქუჩაზე ე.წ. აშტას ხიდის მოწყობა;

ქ. ბათუმში, თამარ მეფის გამზირი №61 ბ-ს მიმდებარედ (მწვანე კონცხი) ხიდის მოწყობა;
 ქ. ბათუმში, თბილისის ქუჩა №100-102-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;
 ქ. ბათუმში, მეფე მირიანის III ჩიხი №8-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;
 ქ. ბათუმში, თოდოგაურის დასახლება №53-55-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;
 ქ. ბათუმში, ზედაღელის ქუჩა N3ბ-ს მიმდებარედ ხიდის მოწყობა;
 ქ. ბათუმში, თოდოგაურის დასახლება N28-ს მიმდებარედ ხიდის მოწყობა;
 ქ. ბათუმში, მახვილაურის დასახლება N11-ს მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;
 თამარ მეფის გამზირზე მახინჯაურის ცენტრის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;
 სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის (საგზაო ინფრასტრუქტურა) სალიკვიდაციო სამუშაოები (98 მისამართი);

ქუჩების კაპიტალური რეაბილიტაციისა და მშენებლობის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა;

▪ სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება - 30,219.5 ათასი ლარი, კერძოდ ფინანსდება:

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა (ათასი ლარი)
02 02	სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება	30,219.5
	მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება	30,219.5

შპს "ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს სუბსიდირება (საოპერაციო დეფიციტის დაფარვა).

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტისათვის“ მუნიციპალური მიკროავტობისის და ავტობუსების შეძენის თანადაფინანსება

▪ საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება - 24,988.9 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა (ათასი ლარი)
02 03	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება	24,988.9
	წყლის სისტემების რეაბილიტაცია	2,864.3
	კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია	9,000.0
	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება	4,132.8
	სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა	8,991.8

ქ. ბათუმში, კახაბრის დასახლებაში სასმელის წყლის სისტემის და 300 კვ.მ. სამარაგო-საწნეო რეზერვუარის მოწყობა,

მახინჯაურის დასახლების (თამარ მეფის გამზირის III შესახვევის №32-დან №50-მდე; თამარ მეფის გამზირის I შესახვევის №15-დან №37-მდე; მარკოზ აჭარელის III შესახვევის №38- დან №46-მდე) დასახლებაში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა;

სარვის, კვარიათის, გონიოს, ახალსოფლის წყალარინების ქსელის (გრავიტაციული და საწნეო მილების) და წყალარინების გადამქაჩი სადგურების, რეაბილიტაცია/მშენებლობა;

მამია ვარშანიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე საკანალიზაციო საწნეო ხაზის, გადამქაჩი სადგურების და გრავიტაციული ხაზის მოწყობა; ბენზეს სატუმბო სადგურის ელევატორებისა და შემოდინების ჩამკეტების რეაბილიტაცია/მშენებლობა.

სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლუატაცია;

სანიაღვრე ჭის სახურავების შექმნა;

მამია ვარშანიძის ქუჩიდან ანა კალანდაძის ქუჩამდე არსებული სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია;

"გეზი"-ს მიმდებარე ტერიტორიაზე სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის პირველი შესახვევიდან კახაბრის ქუჩამდე დაზიანებული სანიაღვრე არხის აღდგენა;

ქ. ბათუმში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქ. N68-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში, ანგისის პირველი შესახვევი N41-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, იური გაგარინის ქ. N46-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში, ზედაელის დასახლება N21-თან სტიქიის შედეგად დაზიანებული სანიაღვრე არხის აღდგენა;

ზედაელის მე-2 შესახვევი №20-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

თევდორე მღვდლის ქ. №10-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის ქ. N1-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია;

თამარ მეფის გამზირი N63-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ბაქოს ქ. N37-ის მიმდებარედ (თევზის ბაზრის მიმდებარე ტერიტორია) სანიაღვრე არხის მოწყობა;

სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის (სანიაღვრე სისტემები) სალიკვიდაციო სამუშაოები (9 მისამართი);

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის მე-5 ფაზის სამუშაოებთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება და მოსახლეობისათვის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება. წყლის სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

▪ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი - 46,703.5 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა (ათასი ლარი)
02 04	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი	47,240.6
	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	12,366.0
	საცხოვრებელი სახლების მშენებლობა	34,874.6

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სახურავები რეაბილიტაცია;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობისა და კომუნალური სისტემის მოწესრიგება;

ქალაქში არსებულ სახლებზე დაზიანებული ფასადების რეაბილიტაცია;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობა-რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში ე.წ. შანხაის დასახლებაში სოციალური სახლის მშენებლობა;

ავარიული სახლების დემონტაჟი- მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში, სოციალური სახლის მშენებლობა.

▪ მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა - 998,7 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა.

▪ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა - 10,076.1 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა (ათასი ლარი)
02 06	ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა	10,076.1
	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	2,795.0
	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა	3,381.1
	საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა	3,600.0

საქალაქო მეურნეობის მოვლა-პატრონობა, რეაბილიტაცია, დაგეგმვა, მოწყობა და განვითარება, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების კოორდინაცია.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა; საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა.

▪ ქალაქის კეთილმოწყობა - 2,761.3 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა (ათასი ლარი)
02 07	ქალაქის კეთილმოწყობა	2,761.3
	ქალაქის გაფორმების ღონისძიებები	1,230.8
	ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა	1,530.5

საშობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმება; წლის განმავლობაში ქალაქის გაფორმების ღონისძიებები; ბიუსტების, ძეგლების და ქანდაკებების მოვლა-დასუფთავება; ქუჩის მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი.

III. ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 48,360.2 ათასი ლარი, დაფინანსდება შემდეგი ქვეპროგრამები, კერძოდ:

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა (ათასი ლარი)
03 00	ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	48,360.2
	ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა	18,638.7
	პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა	24,232.8

ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა;

ქ. ბათუმში, ჩაქვის დასახლებაში სარეკრეაციო სივრცის და მრავალფუნქციური ინფრასტრუქტურის მოწყობა (პროექტირება/შენიშვნა);

ქალაქ ბათუმში, პეტრე ბაგრატიონის ქუჩაზე გზაგამყოფ სივრცეში სკვერის მოწყობა (ს/კ 05.27.40.006) (ს/კ 05.27.41.004) (ს/კ 05.26.04.024);

ქ. ბათუმი, სამების 1 ჩიხი, N3-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია, (2023-2024 წწ.);

ქ. ბათუმში ხახულის მე-2 შესახვევი N67-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმი, მამია გოგოლიშვილის ქუჩა N45-ის მიმდებარედ (ს/კ 05.33.22.309) სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმი, ა. აბაშიძის N22 (ს/კ 05.26.02.109)-ში სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმი, მელიქიშვილის III შესახვევი N21 (ს/კ 05.26.27.013)-ში სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმი, მწვანე კონცხის დასახლება (ს/კ 05.34.28.035)-ში სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმი, ი. ჯავახიშვილის ქუჩა N4ა-ს (ს/კ 05.24.08.010) მიმდებარედ სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N14ა-ს მიმდებარედ (ს/კ 05.32.11.691) სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქუჩა N21ა-ს მიმდებარედ (ს/კ 05.24.08.145) სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქუჩა N18-ის მიმდებარედ (ს/კ 05.27.07.010) სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმი, გალაქტიონ ტაბიძის N15/17-ის მიმდებარედ (ს/კ 05.25.10.044)/(ს/კ 05.25.10.037) სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმი, გენერალ ასლან აბაშიძის ქუჩა N49-ის მიმდებარედ (ს/კ 05.31.01.908) სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმი, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა N17-ის (ს/კ 05.30.29.023) მიმდებარედ სკვერის მოწყობა;

ქალაქი ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქუჩა N28-ის მიმდებარედ (ს/კ 05.25.09.039) / (ს/კ 05.25.09.035) / (ს/კ 05.25.09.040) სკვერის მოწყობა;

ქალაქი ბათუმი, ძმები ნობელელების ქუჩა N18-ის მიმდებარედ (05.30.15.121) სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმი, გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა N1-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში, ზღვისპირა ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთზე ს/კ 05.23.01.010 „შენი იდეა ბათუმის“ ფარგლებში (გამარჯვებული იდეა N20209) „ჩვენი ბათუმელი ცუგუნები“-სათვის სივრცის ე.წ. სავარჯიშო/გასართობი მოედნის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ხალვაშის გამზირი N374-ის მიმდებარედ არსებულ ნაძვნარში სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, ძმები ნობელელების ქ. N41-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;

შენი იდეა ბათუმის ფარგლებში - „საქანელა ყველას“-თვის შერჩეული პროექტების დაფინანსება (მ. ლერმონტოვის ქ. N96-ის მიმდებარედ სკვერში, ინასარიძის ქ. N3-ის მიმდებარედ სკვერში, ბაქოს ქუჩა N74-ის მიმდებარედ სკვერში, თამარ მეფის გამზირზე არსებულ სკვერში, შინდისის სკვერში);

ადაპტირებული ბათუმი, ((ქ. ბათუმის ტერიტორიაზე შშმ პირთათვის გათვალისწინებული სკამების განთავსება) მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტი - შენი იდეა ბათუმის ფარგლებში შერჩეული პროექტის დაფინანსება);

ქ. ბათუმში, ახალ ბულვარში, სტიქიის შედეგად დაზიანებული სანაპირო ზოლის აღდგენის სამუშაოები;

ქალაქის გამწვანების მიმდინარე ღონისძიებები;

სანერგე-სასათბურე მეურნეობის მოვლა-ექსპლუატაცია;

ხე-მცენარეების შექმნა-დარგვა;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

IV. განათლება - 43,495.6 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა (ათასი ლარი)
04 00	განათლება	43,495.6
	ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება	32,632.7
	საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია	10,687.9
	პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	45.0
	სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის	130.0

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემოს შექმნა;

ახალგაზრდების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და ბათუმელ ახალგაზრდებს შორის აკადემიური მოსწრების ამალგების სტიმულირება

V. კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი - 25,502.6 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს:

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა (ათასი ლარი)
05 00	კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	25,502.6
	მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა	682.0
	ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა	55.0
	სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა	5,886.7
	ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა"	425.1
	ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი	219.6
	ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი	3,440.6
	სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	4,269.9
	კულტურული ღონისძიებების მართვა	1,689.0
	ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები	1,470.0
	კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა	27.0
	საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა	720.0
	კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა	100.0
	ფოლკლორის ხელშეწყობა	1,693.4
	თანამედროვე მუსიკის ხელშეწყობა	404.0
	კლასიკური მუსიკის ხელშეწყობა	583.5
	ხელოვანთა ხელშეწყობა	47.0
	ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა	1,607.5
	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია	1,850.3
	ახალგაზრდული ცენტრი	308.0
	ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა	24.0

დასახული მიზნების მისაღწევად 2024 წელს განხორციელდება შემდეგი პროგრამები: სპორტის განვითარების ხელშეწყობა; მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა; კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები, კულტურულ-

საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა; კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა.

VI. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 27,264.6 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს:

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა (ათასი ლარი)
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	27,264.6
	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა	1,691.0
	ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია	126.6
	ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია	172.8
	მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება	215.0
	შ.შ.მ. სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაცია	888.0
	ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია	3,535.4
	ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება	201.6
	მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება	1,070.8
	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება	187.2
	კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება	947.6
	მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა	3,785.8
	მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება	3,231.9
	მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება	1,399.9
	მუნიციპალური უფასო სასადილო	7,191.6
	დროებითი ღამის თავშესაფარი	802.5
	საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა	126.8
	მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა	200.0
	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება	256.9
	მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა	190.1
	ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგი	106.7
	დეზინსექცია დერატოზაციის ღონისძიებები	458.4
	უპატრონო შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები	478.0

პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნებს, ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობას, საზოგადოების ცალკეული კატეგორიების სოციალური პირობების გაუმჯობესებას და ინფექციურ დაავადებათა გავრცელების რისკ-ფაქტორების შემცირას.

VII. ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება - 1,111.9 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარების და განაშენიანების მართვის დოკუმენტაციის დასრულებას და სტარტაპ ეკო-სისტემის ჩამოყალიბების.

VIII. მუნიციპალური სერვისების განვითარება - 12,279.3 ათასი ლარი, კერძოდ განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა (ათასი ლარი)
08 00	მუნიციპალური სერვისების განვითარება	12,279.3
	ელექტრონული სერვისების დანერგვა და განვითარება	75.6
	ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო	4,255.4
	მუნიციპალური სერვის-ცენტრების მშენებლობა	615.2
	თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა	110.0
	ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია	6,223.1
	მონაწილეობითი ბიუჯეტით შერჩეული პროექტების დაფინანსება	1,000.0

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში:

- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 31,665.6 ათასი ლარი;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობა - 76,373.9 ათასი ლარი;
- ✓ გარემოს დაცვა - 36,630.5 ათასი ლარი;
- ✓ საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 75,325.0 ათასი ლარი;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა - 8,195.1 ათასი ლარი;
- ✓ დასვენება, კულტურა და რელიგია - 55,224.1 ათასი ლარი;
- ✓ განათლება - 43,495.6 ათასი ლარი;
- ✓ სოციალური დაცვა - 18,133.1 ათასი ლარი;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს - 17,500.0 ათას ლარს, რაც 2023 წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებთან მიმართებაში გადაჭარბებით მიღებული ფინანსური სახსრებია.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პირველ ვერსიაში განხორციელებული ცვლილებები დეტალური განმარტებით დანართის სახით თან ერთვის (დანართი 1).

დასახელება	2024 წლის პროექტი (მოქმედი რედაქცია)	2024 წლის პროექტი (ცვლილების შემდეგ)	ცვლილება +/-

შემოსულობები	354,500.0	364,500.0	10,000.0
შემოსავლები	346,500.0	356,500.0	10,000.0
გადასახადები	106,217.2	106,217.2	
გრანტები	167,231.5	177,231.5	10,000.0
სხვა შემოსავლები	73,051.3	73,051.3	
არაფინანსური აქტივების კლება	8,000.0	8,000.0	
გადასახდელები	365,000.0	382,000.0	17,000.0
ხარჯები	220,167.0	224,289.1	4,122.1
შრომის ანაზღაურება	43,882.3	43,882.3	
საქონელი და მომსახურება	75,196.2	75,201.2	5.0
პროცენტი	4,892.8	4,892.8	
სუბსიდიები	15.0	15.0	
გრანტები	20,304.8	20,304.8	
სოციალური უზრუნველყოფა	18,004.1	18,004.1	
სხვა ხარჯები	57,871.8	61,988.9	4,117.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	107,875.9	120,753.8	12,877.9
ვალდებულებების კლება	36,957.1	36,957.1	
ნაშთის ცვლილება	-10,500.0	-17,500.0	-7,000.0

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს მნიშვნელოვანი რესურსების გამოყოფას და ოპტიმალურ გადანაწილებას სხვადასხვა სფეროებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას;

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მომზადებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას მიღებული იქნა კონსულტაციები საქართველოს ფინანსთა სამინისტროსაგან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსაგან;

ე) პროექტის ინიციატორი:

პროექტის ინიციატორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი;

ინფორმაცია
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში და საბიუჯეტო პროგრამებში/ქვეპროგრამებში
განსახორციელებელი ცვლილების შესახებ

შემოსულობების ცვლილება

(ლარებში)

№	დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	შენიშვნა
1	გრანტი	10,000,000	
1.1	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი	8,911,800	იზრდება ტრანსფერის მოცულობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი (ტრანსფერის სახეებს შორის) თანხების ნაწილში
1.2	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	1,088,200	
სულ ჯამი		10,000,000	

გადასახდელების ცვლილება

(ლარებში)

კოდი	დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	შენიშვნა
02 01 05	საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა	-1,407,500	<i>განმარტებული: ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო</i>
	თამარ მეფის გამზირზე მახინჯაურის ცენტრის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	1,000,000	დაემატა ახალი ღონისძიება
	სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები (99 მისამართი)	-3,307,500	მცირდება 2024 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი, ასევე ღონისძიებას დაემატა ერთი მისამართი - ავგიის II ჩიხის N11-ის მიმდებარედ ფერდსამაგრი კედლის მოწყობა
	სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები (საგზაო ინფრასტრუქტურა 2023-2024 წწ.)	900,000	გაიზარდა ღონისძიების დაფინანსება
02 02 02	მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება	4,080,000	
	შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტსათვის“ მუნიციპალური მიკროავტობუსის და ავტობუსების შეძენის თანადაფინანსება	4,080,000	დაემატა ახალი ღონისძიება, მრავალწლიანი პროექტი (2024-2026 წ.წ.), ღირებულება 39 252 624 ლარი (მიკროავტობუსის და ავტობუსის შეძენა - 125 ერთეული)
02 04 03	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	37,100	<i>განმარტებული: ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო</i>
	ქ. ბათუმში, თბილისის ქ. N39-ში საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები	37,100	დაემატა ახალი ღონისძიება
02 04 04	საცხოვრებელი სახლების მშენებლობა	500,000	<i>განმარტებული: ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო</i>
	ქ. ბათუმში, სოციალური სახლის მშენებლობა	500,000	დაემატა ახალი ღონისძიება, მრავალწლიანი პროექტი (2024-2026 წ.წ.), ღირებულება 14 000 000,00 ლარი
02 06 02	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა	300,000	<i>განმარტებული: ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო</i>
	შენიშვნა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა	300,000	გაიზარდა ღონისძიების დაფინანსება
02 07 02	ქალაქის გაფორმების ღონისძიებები	30,000	<i>განმარტებული: ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო</i>
	2021 წლის 8 ოქტომბერს ქ. ბათუმში 26 მაისი N13-ში მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევასთან დაკავშირებით მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების ან სხვა მემორიალური ობიექტის დამზადება და განთავსება	30,000	დაემატა ახალი ღონისძიება
03 02 02	პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა	8,560,400	<i>განმარტებული: ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო</i>
	ქ. ბათუმში, ხალვაშის გამზირი N374-ის მიმდებარედ არსებულ ნაძვანარში სკვერის მოწყობა	1,000,000	დაემატა ახალი ღონისძიება, მრავალწლიანი პროექტი (2024-2025 წ.წ.), ღირებულება 4 477 934 ლარი
	ქ. ბათუმში, ძმები ნობელის ქ. N41-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა	480,000	დაემატა ახალი ღონისძიება, მრავალწლიანი პროექტი (2024-2026 წ.წ.), ღირებულება 1 600 309 ლარი
	შენი იდეა ბათუმის ფარგლებში - „საქანელა ყველას“-თვის შერჩეული პროექტების დაფინანსება (მ. ლერმონტოვის ქ. N96-ის მიმდებარედ სკვერში, ინსარამის ქ. N3-ის მიმდებარედ სკვერში, ბაქოს ქუჩა N74-ის მიმდებარედ სკვერში, თამარ მეფის გამზირზე არსებულ სკვერში, შინდისის სკვერში)	45,400	დაემატა გარდამავალი ღონისძიების სახით,

კოდი	დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	შენიშვნა
	ადაპტირებული ბათუმი, ((ქ. ბათუმის ტერიტორიაზე შშმ პირთათვის გათვალისწინებული სკამების განთავსება) მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტი - შენი იდეა ბათუმის ფარგლებში შერჩეული პროექტის დაფინანსება)	30,000	დაემატა გარდამავალი ღონისძიების სახით,
	ქ. ბათუმში, ახალ ბულვარში, სტიქიის შედეგად დაზიანებული სანაპირო ზოლის აღდგენის სამუშაოები	7,000,000	დაემატა გარდამავალი ღონისძიების სახით, მრავალწლიანი პროექტი (2024-2025 წ.წ.), ღირებულება 15 658 999,31 ლარი
	ცენტრალური პარკის დაცვა	5,000	იზრდება ღონისძიების დაფინანსება
05 02 03	სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	3,500,000	<i>განმარტვილებული: ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო</i>
	ზღვისპირა ზოლში ქვიშის საფარიანი არსებული სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები	3,000,000	დაემატა ახალი ღონისძიება
	ქ. ბათუმში, რაგბის სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები (არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და 2 ახალი სტადიონის და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობა)	500,000	დაემატა ახალი ღონისძიება, მრავალწლიანი პროექტი (2024-2026 წ.წ.), ღირებულება 25 000 000 ლარი
05 05 01	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია	1,000,000	<i>განმარტვილებული: ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო</i>
	ქ. ბათუმში, ლუკა ასათიანის ქ. N25-ში მდებარე მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი) რეაბილიტაცია-გამაგრება	500,000	ახალი პროექტი, მრავალწლიანი პროექტი (2024-2025 წ.წ.) პროექტის ღირებულება 8 000 000 ლარი
	ქ. ბათუმში, შ.რუსთაველის N51-ში მდებარე შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“-ს ადმინისტრაციული შენობის (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი) რეაბილიტაცია	500,000	ახალი პროექტი, მრავალწლიანი პროექტი (2024-2025 წ.წ.) პროექტის ღირებულება 6 000 000 ლარი
08 01 05	ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია	400,000	
	სპეციალური დანიშნულების ავტოსატრანსპორტო საშუალების შემენა (ევაკუატორი)	400,000	დაემატა გარდამავალი ღონისძიების სახით
სულ ჯამი		17,000,000	

ნაშთის ცვლილება

(ლარებში)

№	დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	შენიშვნა
1	ნაშთის კლება (გამოყენება)	7,000,000	
1	ბალანსი		